თქვი: ლაა ილაჰა ილლა ლლააჰ ვაჰდაუ ლა შარიიქა ლაჰ, ალლაჰუ აქბარ, ვალ-ჰამდულილლაჰი ქასიირა, სუბჰაანალლაჰი რაბბილ 'აალამიინ, ლაა ჰავლა ვალაა ყუვვათა ილლაჰ ბილლაჰილ 'აზიიზილ ჰაქიიმ

სა'დისგან გადმოცემულია (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: ერთხელ ბედუინი მივიდა შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და უთხრა: "მასწავლე სიტყვები, რომლებსაც წარმოვთქვამ ხოლმე". უპასუხა: «თქვი: ლაა ილაჰა ილლა ლლააჰ ვაჰდაუ ლა შარიიქა ლაჰ, ალლაჰუ აქბარ, ვალ-ჰამდულილლაჰი ქასიირა, სუბჰაანალლაჰი რაბბილ 'აალამიინ, ლაა ჰავლა ვალაა ყუვვათა ილლაჰ ბილლაჰილ 'აზიიზილ ჰაქიიმ», ბედუინმა შემდეგ უთხრა: „ეს ყველაფერი ჩემს ღმერთს ეკუთვნის, მაგრამ ჩემთვის რა არის?“ შუამავალმა მიუგო: «თქვი: ო, ალლაჰ მაპატიე, შემიწყალე, დამადგინე ჭეშმარიტ გზაზე და მომმადლე სარჩო». /ალლაჰუმმა ღფირ ლიი ვარ ჰამნიი ვაჰდინიი ვარ ზუყნიი/.

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ერთმა ბედუინმა ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სთხოვა, რომ მისთვის ალლაჰის ხსენების სიტყვები ესწავლებინა. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას) უთხრა: თქვი: "ლაა ილააჰა ილლა ლლააჰ ვაჰდაჰუ ლაა შარიიქა ლაჰ" , ხსენება დაიწყო ერთღმერთიანობის დამოწმებით, რაც ნიშნავს: არ არსებობს ღვთაება, თაყვანისცემის ღირსი, გარდა ალლაჰისა. ''ალლაჰუ აქბარ ქაბიირა'' რაც ნიშნავს: ალლაჰი ყველაფერზე დიდია და უმაღლესია, ''ვალ-ჰამდულილლაჰი ქასიირა'' რაც ნიშნავს: ალლაჰს უამრავი ქება, მისი თვისებების, ქმედებებისა და უთვალავი მოწყალებისთვის, ''სუბჰაანალლაჰი რობბილ 'აალამაინ'' ნიშნავს: ალლაჰი, სამყაროების ღმერთი წმინდაა ყოველი ნაკლოვანებისგან, ''ლაა ჰავლა ვალლა ყუვვათა ილლაა ბილლაჰილ აზიიზილ ჰაქიიმ'' ანუ: არ არსებობს ძალა და ძლევამოსილება გარდა ალლაჰისა მისი დახმარებით და შეწევნით, მაშინ კაცმა თქვა: „ეს სიტყვები ჩემი ღმერთისთვის და მისი ხსენებისა და განდიდებისთვის და რა არის ვედრებიდან ჩემთვის? მაშინ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: თქვი: ''ო, ღმერთო მაპატიე" ცოდვების წაშლით და მათი დაფარვით, ''და შემიწყალე'' ჩემთვის სასარგებლო და საჭირო სარგებლის მომატებით როგორც რელიგიურ, ასევე ამქვეყნიურ საკითხებში, ''დამადგინე ჭეშმარიტ გზაზე'' საუკეთესო მდგომარეობისა და სწორი გზისკენ, ''მიბოძე სარჩო'' ჰალალი სიმდიდრე, ჯანმრთელობა და ყველა სიკეთე და კეთილდღეობა.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/6112